პროფესიული განათლების დეპარტამენტის 2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში

2024 წელი ზუგდიდი

შესავალი

პროფესიული განათლების მიმართულებით განხორციელებული და მიმდინარე აქტივობები უწყვეტი ციკლია და მისი უწყვეტობა ეფუძნება დემინგეს ციკლს: „დაგეგმე“ (Plan), და „განახორციელე“ (Do), „შეამოწმე“ (Check) და „გაანალიზე“(Analyse). პროფესიულ განათლებას ზსსუ ახორციელებს ორ მისამართზე ზუგდიდსა (პროფესიული განათლების ზუგდიდის ცენტრი) და სენაკში (პროფესიული განათლების სენაკის ცენტრი), რომლის ფარგლებში ხორციელდება როგორც გრძელვადიანი (სადიპლომო) საგანმანათლებლო, ასევე მოკლევადიანი (სასერტიფიკატო) პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამები. 2024 წელს ზსსუ-ს პროფესიული განთლების დეპარტამენტის საქმიანობა ეფუძნება ზსსუ-ს 7 წლიან სტრატეგიულ და ერთწლიან სამოქმედო გეგმას, ამასთან საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს, სსიპგანათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის, სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის განსაზღვრული კანონმდებლობით სავალდებულო მოთხოვნების შესაბამისად.

პროფესიული განათლების დეპარტამენტი სამოქმედო გეგმის შესრულების მიზნით მჭიდროდ თანამშრომლობს ზსსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფისა და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან . წლის დასაწყისში წარდგენილ იქნა 2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, გაკეთდა პროფესიული განათლების მიმართულებით არსებული გამოწვევების სვოტ-ანალიზი და დამტკიცდა 2024 წლის სამოქმედო გეგმა. დასახულ იქნა მთავარი ამოცანები, რომლის გასახორციელებლად დაიგეგმა შესაბამისი აქტივობები. აღნიშნული აქტივობები არის ინსტრუმენტი რათა მოხდეს სრულყოფა/შესრულება ავტორიზაციის ხუთი სტანდარტის შესაბამისი კომპონენტების განსაზღვრული ინდიკატორებით,, რომლებიც უნდა დადასტურდეს როგორც მარეგულირებელი დოკუმენტებით, ასევე სხვა დამატებითი სახის მტკიცებგულებებით რომელიც ასახავს პროცესს. აღნიშნული საქმიანობა არის მთავარი ამოცანა პროფესიულ განათლებაში.



სტანდარტი 1- მისია და სტრატეგიული განვითარება

კომპონენტი 1.1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია კომპონენტი 1.2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარება

უნივერსიტეტმა სტრატეგიაში თანაბრად განსაზღვრა უმაღლესი და პროფესიული განათლების პრიორიტეტულობა, რაც დასტურდება მიდგომით რომ 2013 წლიდან უნივერსიტეტში პროფესიული განათლების მიმართულებით გასახორციელებელი აქტივობებისთვის გამოყოფილ იქნა სტრუქტურული ერთეული-პროფესიული განათლების განვითარების სამსახური. გასული წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშმა გვიჩვენა რომ მიუხედავად ამ სტრუქტურული ერთეულისა და შესაბამისი საშტატო ერთეულების არსებობისა, მაინც არის გამოწვევა ადამიანური რესურსებისთვის განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების კუთხით. არის სფეროები, რომლებიც საჭიროებენ მეტ ყურადღებას, პროცესების კონტროლს. უნივერსიტეტი საკუთარ მისიაში ნათლად აღნიშნავს პროფესიული განათლების მიმართ დამოკიდებულებას, ხედვას და განათლების უწყვეტობაზე დაფუძნებულ საქმიანობას. აღნიშნულის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის უფლებამოსილმა ორგანოებმა

უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების გადაწყვეტილებებით ცვლილებებით დამტკიცდა არსებული შიდა მარეგულირებელი სხვადასხვა დოკუმენტები, გამომდინარე მარეგულირებელი დოკუმენტების სიმრავლისა რეგულაციების მოდიფიცირება მიმდინარეობს პერიოდულად, გაწერილი გეგმის შესაბამისად და წლის ბოლომდე სრულად იქნება შესაბამისობაში მოყვანილი.

საანგარიშო პერიოდში რეგულარულად ტარდება რექტორის სამუშაო შეხვედრების ციკლი სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან უნივვერსიტეტის გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის და მისიის დახვეწისათვის. დაწყებულია განხილვები სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

აღსანიშნავია მიმდინარე წელს საერთაშორისო ურთიერთოებების მიმართულებით განხორციელებული აქტივობები, რომელიც უნივერსიტეტის მისიისა და ხედვის ფარგლებში აღებული ვალდებულებაა. უნივერსიტეტმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით აქტივობების განხორციელება დაიწყო 2022 წლიდან, რომლის ფარგლებშიც 2023 და 2024 წელს უნივერსიტეტს სტუმრობდა როგორც პროფესიული სტუდენტები, ასევე პერსონალი. სტუდენტები 2 თვე სასწავლო პროცესში იყვნენ ჩართული, ხოლო პერსონალი ერთკვირიანი სამუშაო მიზნით იყვნენ ჩამოსული, რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტის პერსონალს ჩაუტარეს ტრენინგი სხვადასხვა საკითხებში (ლოჯისტიკა, მარაგების მართვა).

აღსანიშნავია, რომ ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, მათ შორის პროფესიული განათლების დეპარტამენტის სამმა წარმომადგენელმა, მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ტრენინგ-კურსში „Body and Mind Combined: Applied Drama tools for youth workers“, რომელიც გაიმართა 03-08 ოქტომბერს სომხეთში, გუიმრში /Gyumri/. პროექტი დაფინანსებული იყო ევროკომისიის მიერ და მასში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს 8 ქვეყნის 28 მონაწილემ. მონაწილე ქვეყნები იყო: პოლონეთი, მოლდოვა, იტალია, სომხეთი, უნგრეთი, საქართველო, ბულგარეთი, რუმინეთი. პროექტი ორგანიზებული იყო უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციის “ქართველი ახალგაზრდები ევროპისთვის” მიერ.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში ,,საერთაშორისო სასწავლო ვიზიტები" მონაწილეობა მიიღო და შერჩეულ იქნა

უნივერსიტეტის სენაკის ბაზის პროფესიული მასწავლებელი მაგდა ბეჭვაია. ის 2024 წლის 9 ივნისიდან 16 ივნისის ჩათვლით სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ტრესდორფის სასოფლო-სამეურნეო განათლების ცენტრში, სადაც მიიღო საერთაშორისო გამოცდილება, გაეცნო გერმანიაში განათლების სისტემის ადგილობრივ მოდელს. აღნიშნული გამოცდილების მიღება კი ძალიან მნიშვნელოვანია, საკუთარი საქმიანობის პროცესში ჰქონდეს ახალი მეთოდების, მიდგომების და ინოვაციების დანერგვის მხარდაჭერის შესაძლებლობა.

სტანდარტი 2. საგანმანათლებლო პროგრამები კომპონენტი 2.1. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება კომპონენტი
2.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი კომპონენტი 2.3. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება კომპონენტი 2.4. სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

დაიგეგმა სასწავლო პროცესი საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმების შესაბამისად, მათ შორის სასწავლო პროცესი ხორციელდებოდა როგორც უნივერსიტეტის, ასევე პრაქტიკის ობიექტის ბაბაზე. შესაბამისად პროგრამები არის როგორც სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების, ასევე კოოპერაციული და დუალური მიდგომით გასახორციელებელი. სწავლების ეს ფორმები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობით 2022 წლის 9 აგვისტოს 416 დადგენილებით.

- სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება გულისხმობს პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი სწავლის შედეგის მიღწევას რეალურ ან/და იმიტირებულ სამუშაო გარემოში.
- პროგრამით განსაზღვრული ზოგიერთი სწავლის შედეგის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევა შესაძლებელია დუალური ან კოოპერაციული სწავლებით.
- პროგრამით განსაზღვრული ზოგიერთი სწავლის შედეგის იმიტირებულ სამუშაო გარემოში მიღწევა შესაძლებელია, განხორციელდეს დაწესებულებაში.

უნივერსიტეტი ახორციელებს შემდეგ პროფესიულ პროგრამებს ა)
ზუგდიდის მისამართზე გრძელვადიანი (სადიპლომო)

1. ფარმაცია (კოოპერაციული)
2. საექთნო საქმე (კოოპერაციული)
3. სკოლამდელი აღზრდა (კოოპერაციული)
4. ბიბლიოთეკარი (კოოპერაციული, ინტეგრირებული)
5. პირის ღრუს ჰიგიენისტი (კოოპერაციული, ინტეგრირებული)

6. რეპორტიორობა ჟურნალისტიკაში (კოოპერაციული)
7. საფინანსო სერვისები (კოოპერაციული)
8. საოფისე საქმე (იმიტირებული)
9. კომპიუტერული ქსელი და სისტემები (იმიტირებული/ ინტეგრირებული)
10. კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება (იმიტირებული)
11. დეკორატიული მებაღეობა (დუალური)
12. ელექტროობა (იმიტირებული)
13. შედუღება (იმიტირებული)
14. ინფორმაციის ტექნოლოგია (იმიტირებული)
15. ბუღალტრული აღრიცხვა (იმიტირებული)

ა) სენაკის მისამართზე გრძელვადიანი (სადიპლომო)

1. ფარმაცია (კოოპერაციული)
2. საექთნო საქმე (კოოპერაციული)
3. სკოლამდელი აღზრდა (კოოპერაციული)
4. ბიბლიოთეკარი (კოოპერაციული, ინტეგრირებული)
5. საფინანსო სერვისები (კოოპერაციული)
6. საოფისე საქმე (იმიტირებული)
7. კომპიუტერული ქსელი და სისტემები (იმიტირებული, ინტეგრირებული)
8. დეკორატიული მებაღეობა (იმიტირებული, ინტეგრირებული)
9. ელექტროობა (იმიტირებული)
10. ინფორმაციის ტექნოლოგია (იმიტირებული)
11. ბუღალტრული აღრიცხვა (იმიტირებული)
12. ვეტერინარია (კოოპერაციული)
13. მეფუტკრეობა (დუალური, კოოპერაციული)
14. მებოსტნეობა (იმიტირებული)
15. ფერმერობა (იმიტირებული)

2024 წლის დასაწყისში უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ირიცხებოდა 865 აქტიური სტუდენტი, მათ შორის ზუგდიდის ცენტრში- 452

პროფესიული განათლების ზუგდიდის ცენტრი:

მიმდინარე წლის გაზაფხულზე ზუგდიდის ცენტრში 9 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებული იყო მიღება 129 ვაკანტურ ადგილზე. დარეგისტრირდა 215 აპლიკანტი და ჩაირიცხა 78, მათ შორის უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლების მქონე 2 აპლიკანტი.

მიმდინარე წლის შემოდგომაზე 13 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებული იყო მიღება 216 ვაკანტურ ადგილზე. დარეგისტრირდა 547 აპლიკანტი და ჩაირიცხა 170, მათ შორის 2 სსსმ/შშმ სტატუსის მქონე და უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლების მქონე 1 აპლიკანტი.

აპლიკანტებს მიეწოდა ინფორმაცია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციის პროცედურების შესახებ და გაეწია დახმარება დარეგისტრირებაში.

დადგენილ ვადაში მოხდა ჩარიცხული სტუდენტების პირადი საქმის წარმოება და მართვის საინფორმაციო სისტემაში მათი განათლების დროულად ასახვა და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ატვირთვა;

2024 წლის განმავლობაში სტატუსი შეუჩერდა 84-ს, შეუწყდა 39-ს, აღუდგა 26 პროფესიულ სტუდენტს. გარე მობილობით ჩაირიცხა ჩვენთან ერთი პროფესიული სტუდენტი. შიდა მობილობის წესით ისარგებლა 9 პროფ.სტუდენტმა.

მიმდინარე წელს კვალიფიკაცია მიენიჭა 173 პროფესიულ სტუდენტს, მათ შორის 6 პროფესიულმა სტუდენტმა დაასრულა ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული კურსი.

ამჟამად უნივერსიტეტის ზუგდიდის ცენტრში აქტიური სტატუსის მატარებელია 450 პროფესიული სტუდენტი,მათ შორის 145 დევნილი.

პროფესიული განათლების ზუგდიდის ცენტრში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ამჟამად სწავლობს 8 სსსმ/შშმ სტუდენტი. მათ შორის 2 სტუდენტი არის 2024 წლის მიღების, 4 სტუდენტი -2023 წლის მიღების და 2 სტუდენტი -2021 წლის მიღების. 2024 წელს ჩარიცხული 2 სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტიდან ერთს (მ.ა.) დაუდასტურდა ი.ს.გ.-ს საჭიროება, რომელიც დამუშავების პროცესშია ინკლუზიური განათლების სპეციალისტისა და მასწავლებლების თანამშრომლობით. მეორე სტუდენტს (ც.ქ.) სტუდენტს პროფესიული პროგრამების პედაგოგების და ინკლუზიური განათლების სპეციალისტის დაკვირვების საფუძველზე არ უდასტურდება ინდივიდუალური ან არტერნატიული გეგმის საჭიროება. (იხ. მტკიცებულებები, საფუძველი: ინკლუზიური განათლების სპეციალისტის სალომე ფიფიას 2024 წლის 26 დეკემბრის 1648860 ანგარიში)

პროფესიული განათლების სენაკის ცენტრი:

2024 წელს აპლიკანთა რეგისტრაცია ჩატარდა 2 ეტაპად და სულ ჩაირიცხა 202 პროფესიული სტუდენტი, აქედან 36 მიღებულ იქნა საგაზაფხულო მიღებაზე, კერძოდ:,,ბიბლიოთეკარი“ მე-4 დონე (მოდულური)-13, “საფინანსო სერვისები” მე-3 დონე (მოდულური)-11, “ელექტროობა” მე3 დონე (მოდულური)- 12 პროფესიული სტუდენტი.

საშემოდგომო მიღებაზე მიღებულ იქნა 166 პროფესიული სტუდენტი: „საქთნო საქმე“ მე-5 დონე (მოდულური)- 13, „ფარმაცია“მე-5 დონე (მოდულური)-21, „ზუღალტრული აღრიცხვა“ მე5 დონე (მოდულური)-12, „სკოლამდელი აღზრდა“ მე-5 დონე (მოდულური)-20, „ვეტერინარია“ მე-5 დონე (მოდულური)-13, “ფერმერობა” მე-4 დონე (მოდულური)-6, “დეკორატიული მებაღეობა” მე-4 დონე (ინტეგრირებული)-7, “საფინანსო სერვისები” მე-3 დონე (მოდულური)-20, “ელექტროობა” მე-3 დონე (მოდულური)-15,“ინფორმაციის ტექნოლოგია” მე-3 დონე (მოდულური)-20, “მებოსტნეობა” მე-3 დონე (მოდულური)-9, ,,მეფუტკრეობა“(მოდულური)-10 პროფესიული სტუდენტი.



პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამები (მოკლევადიანი-სასერტიფიკატო):

2024 წლისათვის დაიგეგმა და წარმატებით განხორციელდა შემდეგი მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამები: "ელექტრომემონტაჟე", "ლითონების შედუღება აიროვან გარემოში" და "შინმოვლის სპეციალისტი".

მოკლევადიანი პროგრამების განხორციელება 2024 წლის იანვრის თვიდან დაიწყო და დეკემბრის თვის მონაცემებით სწავლა დასრულებულია ორ პროფესიულ მომზადების პროგრამაზე „შინმოვლის სპეციალისტი“ და „ელექტრომემონტაჟე“ (მათ შორის "შინმოვლის სპეციალისტის" პროფესიული მომზადების პროგრამა განხორციელდა ორ ნაკადად). სწავლა ასევე დასრულებულია "შინმოვლის სპეციალისტის" პროფესიული გადამზადების პროგრამაზე.
ზემოაღნიშნულ დასრულებულ პროგრამებს ჯამში ჰყავს 43 კურსდამთავრებული. დღეის მდგომარეობით სწავლა მიმდინარეობს „სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვის“ პროფესიული გადამზადებისა და "ლითონის შედუღება აიროვან გარემოში" პროფესიული მომზადების პროგრამებზე. მიმდინარე პროგრამებზე კი სწავლობს 38 მსმენელი (იხ. ზრდასრულთა პროფესიული განათლების განყოფილების უფროსის ლანა ჯიქიას 2024 წლის 26 დეკემბრის 1653467 ანგარიში)

თითოეული პროგრამის განხორციელებას წინ სდევდა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრა, დაინტერესებულ პირთა შერჩევა გასაუბრების გზით და რანჟირების დოკუნტის საფუძველზე ჩარიცხვა. ზემოთ ჩამოთვლილის ორგანიზება ხდებოდა ზრდასრულთა პროფესიული განათლების განყოფილებაში.

პროფესიული მოზადება/გადამზადების ყველა პროგრამა დაფინანსებულ იქნა ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ.

ზრდასრულთა პროფესიული განათლების განყოფილებას დასამტკიცებლად გამზადებული აქვს ოთხი მომზადება/გადამზადების პროფესიული პროგრამა. აღნიშნული პროგრამები მოიცავს ჯანდაცვის, განათლების, მომსახურებისა და ბიზნესის სხვადასხვა სფეროებს. ესენია:

1) ბავშვის აღზრდისა და განვითარების ასპექტები სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში
2) ზოგადი პირველადი სამედიცინო დახმარება
3) საფინანსო დოკუმენტებთან მუშაობა და საოფისე - სამეურნეო მარაგების მართვა 4) ღონისძიების მენეჯერი

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა შემუშავებულ იქნა უნივერსიტეტში არსებული პროფესიულ საგანმანათლებლო (გრძელვადიანი) პროგრამების საფუძველზე. თითოეულ პროგრამაზე მიღება განხორციელდა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად, რომლის ფარგლებშიც განისაზღვრა სარეგისტრაციო, აპლიკანტის შერჩევის პროცედურისა და სასწავლო პროცესის ვადები. აღნიშნული პროგრამები დაფინანსებული იყო ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ შესაბამისი საგრანტო ხელშეკრულებებით, რომელთა განხორციელების შემდეგაც სააგენტოს წარედგინა პროგრამული და ფინანსური ანგარიშები და გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტები. (იხ. ცხრილი)

2024 წელი პროფესიული განათლების ზუგდიდის ცენტრისთვის წარმატებული წელი იყო, რომელიც უზრუნველყოფდა სასწავლო პროცესის უწყვეტობას, პროგრამების განახლებას და სტუდენტების წარმატების გაზრდას. მომავალ წელს ცენტრი ფოკუსირებულია პროფესიული განათლების ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესებაზე, ახალი პროგრამების დანერგვაზე და სტუდენტების დასაქმების შესაძლებლობების გაზრდაზე.

მიმდინარეობს სხვადასხვა ტიპის კვლევები: პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიულ მასწავლებელთა კმაყოფილების, კურსდამთავრებულთა დასაქმების, რომლის შემდეგ გაკეთდება კვლევის შედეგების ანალიზი და შემუშავდება გაუმჯობესების რეკომენდაციები.

პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების შემუშავებისა და მასში საჭირო ცვლილებების შეტანის მიზნით დეპარტამენტი თანამშრომლობდა იურიდიულ და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან, რომელიც შემუშავების შემდეგ დასამტკიცებლად წარედგინა უფლებამოსილ ორგანოებს.

უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებით პროფესიული განათლების დეპარტამენტის პროფესიული განათლების ზუგდიდის ცენტრის ბაზაზე აყვანილ იქნა სასწავლო პროცესის მონიოტრინგის სპეციალისტი, რომელიც მნიშვნელოვანია პროგრამებზე სასწავლო პროცესის ხარისხიანი წარმართვისათვის. ასევე პროცესს თან ახლდა შსტუდენტთა შეფასებებთან დაკავშირებული პროცესები, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება, ვალიდაცია, მტკიცებულებების შეგროვება და ანალიზი. კვარტალურად პროგრამის ხელმძღვანელების ანგარიშების საფუძველზე ხორციელდებოდა პროგრამებზე სტუდენტთა მოსწრების ანალიზი და დგებოდა შესაბამისი შედეგი (სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა).

ზსსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებებით შემუშავდა/შევიდა ცვლილებები და დამტკიცდა მოდიფიცირებული წესები, ინსტრუქციები .

სტანდარტი 3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1. კომპონენტი - პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.2. კომპონენტი- პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

უნივერსიტეტში პროფესიული განათლების მიმართულებით პერიოდულად ხორციელდება კმაყოფილების კვლევები როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის. გასულ წლებში გამოკითხვებმა გვიჩვენა რომ სტუდენტებიც და პერსონალიც საჭიროებდნენ არაფორმალურ აქტივობებს სხვადასხვა ტიპის ღონისძიების სახით.

პროექტის ,, შემოქმედებითი ინკუბატორი და იდეების ლაბორატორია“ განხორციელების მიზნით ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს პროგრამების კვლევის, სტუდენტური სერვისებისა და ინკლუზიური განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის „ექსტრაკურიკულური

აქტივობების განვითარების ხელშეწყობის“ კომპონენტის (პროგრამული კოდი 32 03 02 02) ფარგლებში ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოსა და სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის 2023 წლის 20 ოქტომბერს გაფორმდა N 144/მ საგრანტო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრა უნივერსიტეტის ბაზაზე, ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის კულტურის, ციფრული ხელოვნებისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების როლისა და შესაძლებლობების ახლებური გააზრებისა და რეალურ პრაქტიკაში გამოყენების, ამასთან ახალგაზრდებში ლიდერობის უნარების განვითარების ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში:

სამი განსხვავებული ტრენინგ-მოდულით (1. შემოქმედებითი და სამეწარმეო განათლება; 2. პერსონალური და ორგანიზაციული უნარ-ჩვევების განვითარება; 3. NFT-ის საფუძვლების კურსის წარმართვა) გადამზადდა სულ 72 სტუდენტი;

დაფუძნდა სტრუქტურული ერთეული ზუგდიდის შემოქმედებითი ინკუბატორი;

შეიქმნა პროექტის სოციალური გვერდი (Facebookhttps://www.facebook.com/profile.php?id=61553435524982) და ციფრული ჰაბი (ვებ გვერდიhttps://creativeincubator.zssu.ge/).

პროექტის ფარგლებში მონაწილეებმა გაიფართოვეს ცოდნა შემოქმედებით სამეწარმეო განათლებაზე, ლიდერულ და ციფრულ უნარებზე. მათი ჩართულობით გაიმართა იდეების ლაბორატორია (იდეათონი), სადაც ჯგუფური ვორქშოპების გზით სტუდენტებმა წარმოადგინეს იდეები, რომელიც შესაბამისი კრიტერიუმებით შეაფასა ჟიურიმ. ჟიურის წევრები დაკომპლექტებული იყო როგორც უნივერსიტეტის, ასევე საჯარო (მუნიციპალიტეტის მერია), და კერძო სექტორით (მეწარმე). წარმოდგენილი იდეები იქნა მოწონებული და გაიცა რეკომენდაციები მათი შემდგომი განხორციელების მიზნით. დაფუძნებული ,,შემოქმედებითი ინკუბატორის“ სტრუქტურული ერთეული, როგორც სტუდენტების მხარდამჭერი რგოლი (მათ შორის ციფრული ჰაბი და სოციალური გვერდი) უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის ქვეშ იფუნქციონირებს და მას ადმინისტრაციულ პერსონალთან ერთად წარმართავს სტუდენტი სტაჟიორები, რომლებიც შეირჩევიან პროექტის ფარგლებში შესრულებული აქტივობების საფუძველზე. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ამ სტუდენტების იდენტიფიცირება. ზემოაღნიშნული პროექტი ეხმიანებოდა ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიას, რომელიც ევროკავშირის EU4Culture პროექტის ხელშეწყობით დამტკიცდა და წარმოადგენდა მის ერთ-ერთ აქტივობას.

პროექტის ძირითადი სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდნენ, სტუდენტები, ადგილობრივი ახალგაზრდები და მოზარდები . მათთვის ინფორმაციის მისაწოდებლად გამოყენებული იყო ყველა პლატფორმა, რაც გააჩნია უნივერსიტეტს და რაც შეიქმნა პროექტის ფარგლებში. (ვებ-გვერდები, სოციალური ქსელის გვერდები). ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე პროექტის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა კონფლიქტით დაზარალებულ, მათ შორის, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ახალგაზრდებსა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების წევრების, მათ შორის სკოლის მოსწავლეების ჩართულობას. აღნიშნული მოზარდებისთვის უნივერსიტეტმა უზრუნველყო ტრანსპორტირება ე.წ. გამყოფი ხაზიდან (მდ. ენგურის ხიდი) უნივერსიტეტამდე და პირიქით, რათა ჰქონოდათ საშუალება

მონაწილეობა მიეღოთ პროექტის ფარგლებში გამართულ აქტივობებში (ვორქშოპი). პროექტის მონაწილეები ასევე იყვნენ ადგილობრივი შემოქმედებითი ინდუსტრიების წარმომადგენლები და ადგილობრივი მეწარმეები, ხელმისაწვდომი იყო დამატებითი საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის.

პროექტის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგ კურსები განხორციელდა ჰიბრიდულ რეჟიმში, რამაც უნივერსიტეტის სენაკის ბაზის სტუდენტებსაც საშუალება მისცა ჩართულიყვნენ ონლაინ ჩატარებულ ტრენინგებში, ხოლო პრაქტიკულ აქტივობაზე უნივერსიტეტმა თავად უზრუნველყო ტრანსპორტირება მათი ჩართულობისთვის.

უნივერსიტეტი გარდა ფორმალური განათლებისა, ხელს უწყობს სხვადასხვა სახის არაფორმალურ აქტივიობებს და პროცესებს, რომლებიც საბოლოო ჯამში მიმართულია ადამიანის პროფესიული ზრდისკენ. ამას ემსახურება უნივერსიტეტში არსებული სერვისები სხვადასხვა მიმართულებით. რეგიონში არსებული მოთხოვნების საფუძველზე ხორციელდებოდა მოკლევადიანი შიდასასერტიფიკატო ტრენინ-კურსები (შედუღება, ელექტროობა, ფილამწყობი), ამასთან 2024 წელს უნივერსიტეტმა სამეგრელოს სამი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებთან და პროფესიული უნარების სააგენტოსთან თანამშრომლობით განახორციელა მოკლევადიანი სასერტიფიკატო კურსები: ,,რეგიონული ტურის მეგზური“ (წალენჯიხის, მარტვილის N1 საჯარო სკოლები) და ,,ბოსტნეული კულტურების წარმოება“ (აბაშის N1 საჯარო სკოლა) აღნიშნულ სკოლებში სამომავლოდ დაგეგმილია პროფესიული განათლების დანერგვა და განვითარება. ამასთან შემუშავებულია და პროფესიული უნარების სააგენტოში დასაფინანსებლად წარდგენილია საორიენტაციო კურსების საკონკურსო განაცხადები: ,,ელექტრომონტიორი“ ,,საექთნო საქმე“ ,,რეპორტიორი სკოლაში“,,საინფორმაციო ტექნოლოგიები“, დაფინანსების შემთხვევაში აღნიშნული კურსები განხორციელდება 2024 წლის შემოდგომაზე საჯარო სკოლებში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საზღვრისპირა სოფლებში-განმუხურის, შამგონას, ახალაბასთუმნის, რუხის საჯარო სკოლები, ქალაქ სენაკისა და აბაშის N1 საჯარო სკოლები). აღნიშნული კურსების გავლა შეძლო სულ 115 მა მოსწავლემ. კურს(ებ)ის მონაწილეებმა გაიუმჯობესეს ცნობიერება მათი პროფესიული განვითარების შესახებ და მიიღეს ინფორმაცია სხვადასხვა პროფესიების შესახებ, რაც დაეხმარება მათ სწორი არჩევანი გააკეთონ მომავალი კარიერისთვის.

მოსწავლეების დიდი ნაწილი დაინტერესდა კონკრეტული პროფესიებით და გვაქვს მოლოდინი რომ რეგიონული უნივერსიტეტის ბაზაზე გააგრძელებენ სწავლას.

კურსის მიმართ მოსწავლეთა მხრიდან მაღალი დაინტერესება და აქტიური ჩართულობა უზრუნველყო მათმა წარმატებულმა მონაწილეობამ ყველა აქტივობაში, რამაც კურსის მიზნების მიღწევას შეუწყო ხელი.

ყველაზე მთავარი შედეგია მოსწავლეთა პიროვნული და პროფესიული ზრდის ხელშეწყობა-კურსის მსვლელობისას მოსწავლეებმა გაიღრმავეს თავიანთი უნარ-ჩვევები და რაც მომავალში პროფესიების სწორად შერჩევაში დაეხმარება.

საორიენტაციო კურსები იყო წარმატებული და სასარგებლო არა მხოლოდ მოსწავლეებისთვის, არამედ პარტნიორი ორგანიზაციებისთვისაც. კურსის გავლამ და გამოცდილებამ მოსწავლეებს აჩვენა ახალი შესაძლებლობები და მათი მომავალი კარიერული განვითარების ახალი პერსპექტივები. ასევე, პარტნიორობის გაღრმავებამ და კურსის ეფექტურობამ კიდევ უფრო

გაუმჯობესა თანამშრომლობა უნივერსიტეტსა და სკოლას შორის, რამაც მომავალში შეიძლება გამოიწვიოს ახალი და მეტად წარმატებული პროექტები.

აღსანიშნავია 2024 წლის განმავლობაში აფხაზეთში მცხოვრები მოქალაქეებისთვის განხორციელებული აქტივობები

1. 2024 წლის 26 იანვარი
ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ფილმის - „მანდარინები“ ჩვენება, რასაც მოჰყვა დისკუსია. ღონისძიება ემსახურებოდა ურთიერთგაგების გაღრმავებას და დიალოგის ხელშეწყობას.

2. 2024 წლის 31 იანვარი პროექტი: „შემოქმედებითი ინკუბატორი და იდეების ლაბორატორია“

ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით უნივერსიტეტში განხორციელდა პროექტი, რომლის ფარგლებში ჩატარდა რამდენიმე სასწავლო კურსი ადგილობრივი სტუდენტებისა და დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის. „შემოქმედებითი და სამეწარმეო უნარების განვითარების“ კურსის შემაჯამებელ აქტივობებში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა მეწარმეებმა: Malo Handmade (ხელნაკეთი სუვენირები) და IRDA (ტყავის აქსესუარები). მეწარმეებმა ჩაატარეს პოლიმერული თიხისა და ტყავის დამუშავების ვორქშოპი.

ვორქშოპზე დასწრების შესაძლებლობა მიეცათ გალის რაიონის ოთხი სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებს, რომლებსაც პარალელურად გაეწიათ საორიენტაციო და კარიერული დაგეგმვის სერვისები. მათ მიიღეს ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებულ აკადემიურ და პროფესიულ პროგრამებზე, დაათვალიერეს სასწავლო გარემო. მოსწავლეებისთვის უზრუნველყოფილი იყო ტრანსპორტი, ლანჩი და ბრენდირებული საჩუქრები (მაისურები, კალმები, ბლოკნოტები). უკუკავშირის ფარგლებში, აფხაზეთიდან გადმოსულმა მოსწავლეებმა გამოხატეს უდიდესი მადლიერება პროექტში მონაწილეობის გამო.
პროექტის ფარგლებში განხორციელდა იდეათონი, სადაც მონაწილეებმა წარადგინეს იდეები, სამი მათგანის იდეა წახალისებულ იქნა (ორი პროფესიული განათლების ზუგდიდის ცენტრის, ხოლო ერთი სენკაის ცენტრის სტუდენტი) ფულადი ჯილდოებით (500 ლარიანი პრიზები)

3. 2024 წლის 5 ივნისი პროექტი: „შეიყვარე, შეიფარე, დაიცავი“
სტუდენტური კონკურსის „სტუდფესტი 2024“ ფარგლებში განხორციელდა სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებისკენ მიმართული მოხალისეობრივი პროექტი, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც უმაღლესი, ასევე პროფესიული პროგრამების სტუდენტები.
პროექტის მიზანი იყო მიუსაფარი ცხოველებისთვის სახლების აშენება და მათთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა. ერთ-ერთი ლოკაცია, სადაც ეს სახლები განთავსდა, იყო მდინარე ენგურისპირა, ე.წ. საზღვარი ოკუპირებულ აფხაზეთთან. გარდა ამისა, მოეწყო კოლხური ბზის გაჩუქების ცერემონია, რომლის მიზანი იყო გადაშენების პირას მყოფი ბზის აფხაზეთში გავრცელება.

4. 2024 წლის 28 ივნისი ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ქვეპროგრამის „პროფესიული უნარების განვითარების მხარდაჭერა სკოლებში“ ფარგლებში გაიმართა საინფორმაციო ტური გალის რაიონის საშუალო სკოლის მოსწავლეებისთვის.

შეხვედრის მიზანი იყო:
პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და ახალგაზრდებისთვის პროფესიის არჩევის პროცესში დახმარება; უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამებისა და პროფესიების გაცნობა.

5. 2024 წლის სექტემბერი – დღემდე
„სკოლის შემდგომი განათლების“ პროექტი

2024 წლის სექტემბრიდან ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტში „სკოლის შემდგომი განათლების“ პროექტის ფარგლებში გადამზადების კურსები უტარდებათ აფხაზეთიდან დევნილ 4 აბიტურიენტს. პროგრამა მოიცავს:

ქართული ენისა და საბაზო საგნების გაძლიერებულ სწავლებას სრულყოფილი ინტეგრაციისთვის;

მოკლევადიან მომზადების კურსებს, რომლებიც აბიტურიენტების მოთხოვნების შესაბამისად შეირჩა.

აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს აფხაზეთიდან მოსული ახალგაზრდების განათლების ხელმისაწვდომობასა და მათ სრულფასოვან ჩართულობას ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.

2024 წლის 18 ივნისს სტუდენტებისთვის განხორციელდა გასვლითი აქტივობა სენაკის ბაზაზე. მათ მონაწილეობა მიიღეს ,,მეფუტკრეობის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის ფარგლებში ერთ-ერთი სწავლის შედეგის (თაფლის მიღება) დემონსტრირების პროცესში. სტუდენტები გაეცნენ სენაკის ბაზას (ფერმა, სათბურები, ხილის და დეკორატიული მცენარეების ბაღი), შეხვდნენ ადგილობრივ სტუდენტებს, მასწავლებლებს, ადმინისტრაციას. ისაუბრეს სამომავლო ერთობლივ პროექტებზე რომელიც დაიგეგმება და განხორციელდება მომავალშიც აგრარული მიმართულების პოპულარიზაციისა და ხელშეწყობის მიზნით. ეს აქტივობა დაიგეგმა პროფესიულ სტუდენტთა მხარადჭერის ღონისძიებების ფარგლებში, მათთან ინტერვიურებისას არაერთხელ გამოკვეთილი სურვილის საფუძველზე. მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს სტუდენტების ადაპტაციას ერთმანეთთან, გარემოსთან, ასევე ემსახურება ცნობიერების ამაღლებას პროფესიული განათლების მიმართულებით.

2024 საანგარიშო წლის (26/04/2024) წლის სტუდენტური დღეების ფარგლებში ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის კარიერის და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ორგანიზებით გაიმართა დასაქმების ფორუმი. ფორუმს მერიამ და არასამთავრობო ორგანიზაციამ ,,

ახალგაზრდობა მსოფლიოსთვის" , რომელმაც სტუდენტებსა მიმდინარე 3 წლიანი პროექტი "Youth one stop Agency" .

ფორუმში მონაწილეობა მიიღეს რეგიონის სხვადასხვა პროფილის დამსაქმებლებმა: ზუგდიდის სახელმწიფო ევროკავშირის შესახებ, დასაქმების ხელშეწყობის სააგენტო, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები: "Micro ''McDonald's'' ,''Adidas'', ''ბიგ დეი'', ''კერხერი'', ''ვეტ კლინიკა'', ''შპს. გვაზა'', ''ევროჰაუსი 2020''.

ორგანიზაციებმა წარმოადგინეს სტაჟირებისა და დასაქმების 50-მდე ვაკანსია.

https://www.facebook.com/zsu.edu.ge/posts/pfbid02D3zR3jw7dECkBwwXR9iTDtxj1HL55ppkCXsZS52UCe9vGtnf89PayvhQz51epN8Nl?-პროფორიენტაციის კუთხით, სკოლის მოსწავლეებთან ტარდებოდა პერიოდული შეხვედრები.

https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=pfbid02wn5QqEz5RNGjtSeyHxGWTRKQwsDHMD9HgUq4WmdS1VtufxnGjKvN1wrUZCc8niBYl&https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=pfbid0wk7Ur3wPyqwCMNCQgujqAoNzETCS4P46jHHo4FBU1WRbDQDYqoqw3iZYoHNzUZ86l&პროფესიული პროგრამების ცნობადობის ამაღლების მიზნით, სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებში ვიღებდი გამოფენები, ვორქშოპები.

-დაინტერესებულ პირებს გაეწიათ კონსულტაციები და მიწოდათ ინფორმაცია უნივერსიტეტში https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=pfbid02Pqey8poxFoBcE67hZBQu8AxDu3YukyBW1yFFtmU289EaLboD7ozPRc7FFBFVmFXKl&-პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს პერიოდულად მიწოდებათ განახლებული ინფორმაცია შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=pfbid0yN2rd7NUY9pEB42Q87Crsq6LdqGpaawpfjqSKsr2JTitkKPdSbyYqfybEFLnaATZl&https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=pfbid0eZ8fnfKj49tVcf6yyioTHt6tXSoHREvvoNZNSafoiEyadhhUzsbBx2G2QbioAtcbl&

-ასევე უნივერსიტეტი 2024-2025 წლის გრძელვადიანი პროგრამების , 2023 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის ნაწილში წარმატებულად თანამშრომლობს პროფესიული უნარების სააგენტოსთან სააგენტოსთან თანამშრომლობით (Tracer Study).

ჩატარდა სტუდენტების/პროფესიული და დაინტერესებული პირებისთვის აქტივობა , რომელიც ორგანიზებული იყო ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ახალგაზრდულ საქმეთა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ.

ERASMUS+ ის საერთაშორისო პროექტში მონაწილე პირებმა გამოცდილება და შეძენილი ცოდნა გააზიარეს
https://www.facebook.com/zsu.edu.ge/posts/pfbid0GQ4JKsMgvwHu5MknGCpQWMGm8pHEo8GVNCoZeYePYiZRRYDC4fetrx3PwGN6H2ozl

სენაკის ცენტრის ბაზაზე პროფესიული სტუდენტების ჩართულობით განხორციელდა აგრო საცდელი პროექტი, რომლის მიზანიც იყო 1.5 ჰა მიწაზე მოწყობილიყო საცდელი ნაკვეთები და შესაბამისად ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების მოვლა მოყვანა, სადაც სოფლის მეურნეობის მიმართულების 7 მა სტუდენტმა გაიარა სტაჟირება. სტუდენტებს გადაეცათ წამახალისებელი სერტიფიკატები. შიდა პროექტი დაფინანსებული იყო უნივერსიტეტის მიერ.

ასევე 2024 წლის განმავლობაში სტუდენტებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები, კონფერენციები , ჩაატარეს პოეტების გალაქტიონ ტაბიძის, ანა კალანდაძის შემოქმედებითი საღამო.

ევროკავშირის პროექტის ფარგლებში „შემოქმედებითი იდეათონი“ ჩართული იყვნენ სენაკის პროფესიული ცენტრის სტუდენტები, სადაც გიორგი მუნჩავას მიერ წარმოდგენილი იდეა „დაკარგული სიმები“ ჟიურის მიერ შეფასდა ,როგორც კრეატიული იდეა და დაჯილდოვდა 500 ლარიანი ფულადი პრიზით.

“საქართველოს სოფლის მეურნეობაში პროფესიული განათლებისა და ტრენინგების (VET) სისტემის მოდერნიზაცია (ფაზა 3)“ პროექტისთვის” ფარგლებში, პროფესიული საგანმანათლებლო პტოგრამა „ვეტერინარია“ -5 დონე სტუდენტის ლევან კვაშილავას მიერ წარდგენილი პროექტი დაჯილდოვდა 500 ლარიანი აგრო სტიპენდიით.

2025 წლისთვის დაგეგმილია სტაჟიორი სტუდენტების ჩართულობა პროექტებში მებოსტნეობის, ვეტერინარიის , მეცხოველეობის მიმართულებით.

სტანდარტი 4.ადამიანური რესურსები
4.1. კომპონენტი- პერსონალის და პროცესების მართვა
4.2. კომპონენტი- პერსონალის განვითარება

ზსუ მუდმივად არის პერსონალის განვითარებაზე და მხარდაჭერაზე ორიენტირებული სუბიექტი, რომელიც გამოიხატება პერსონალის როგორც გარე (სამინისტრო, დაქვემდებარებული უწყებები, დონორი და სხვა ტიპის სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ტრენინგები), ისე შიდა ტრენინგებში ჩართვის უზრუნველყოფითა და მხარდაჭერით. მოდულის განხორციელებაში ახლად შემოსული და ასევე დამატებული პროფესიული მასწავლებლებისთვის, პროფესიული განათლების ცენტრებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ რეგულარულად, ინდივიდუალურ რეჟიმში ტარდებოდა ტრენინგები პროგრამის სპეციფიკის, მოდულის სტრუქტურის, კალენდარული გეგმის და შეფასების ინსტრუმენტების შედგენისა და მტკიცებულებების შეგროვების შესახებ. აღნიშნული შეხვედრების ციკლი ასევე მოიცავდა საკითხებს შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის შესახებ.

გარე გასვლითი ტიპის აქტივობები 2024 წელს დაფიქსირდა სულ 38. მათ შორის იყო ტრენინგებში, კონფერენციებში, გამოფენებში, სასწავლო შიდა და საერთაშორისო ტურებში, სხვადასხვა სახის სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა. ყველა მათგანი დასტურდება შესაბამისი სამართლებრივი აქტებით (მივლინების ბრძანებები და ანგარიშები).

უნივერსიტეტში პროფესიული განათლების მიმართულებით მომუშავე პერსონალის განვიტარებისკენ მიმართული იყო როგორც გასვლითი ხასიათი, ასევე შიდა საუნივერსიტეტო სივრცეში განხორციელებული აქტივობები. მაგალითად:

1. გარე აქტივობების ფარგლებში:

- ჩატარდა სულ 6 დასახელების ტრენინგი, მასში მონაწილეობა მიიღო სულ 14 მა პირმა. მათ შორის 3 მასწავლებელი, 11-ადმინისტრაცია
- განხორციელდა სულ 1 საერთაშორისო ვიზიტი გერმანიაში და მასში მონაწილეობა მიიღო ერთმა პროფესიულმა მასწავლებელმა
- განხორციელდა სულ 1 საერთაშორისო ტრენინგი, რომელიც ჩატარდა სომხეთში. გადამზადდა ზსუ-ს სამი პროფესიული განათლების მიმართულებით მომუშავე პერსონალი;
- განხორციელდა სულ 3 შიდა სასწავლო ტური . მასში მონაწილეობა მიიღო სულ 5 მა მასწავლებელმა
- განხორციელდა სულ 8 სამუშაო შეხვედრა, მასში მონაწილეობა მიიღო სულ 6 მა პერსონალმა, მათ შორის 1 იყო პროფესიული განათლების მასწავლებელი.
- ჩატარდა ერთი გამოფენა, პრეზენტაცია საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში, სადაც მონაწილეობა მიიღო ზსუ-ს ხუთმა თანამშრომელმა, მათ შორის ორი იყო პროფესიული განათლების მასწავლებელი;

კერძოდ:

- 2024 წლის 15,16,17 თებერვალს მოდული ,,სამოქალაქო განათლების“ მასწავლებელმა როზეტა გულუამ, გაიარა ტრენინგი თემაზე ,,არჩევნების თემატიკის სწავლების ეფექტიანი მეთოდები და ინსტრუმენტები“.
- 2024 წლის 9 ივნისიდან 16 ივნისის ჩათვლით, სოფლის მეურნეობის დარგის მასწავლებელმა მაგდა ბეჭვაიმ საერთაშორისო სასწავლო ვიზიტის ფარგლებში მიიღო მონაწილეობა ტექნიკური და პროფესიული განათლებისა და სწავლების საერთაშორისო სემინარში, რომელიც გაიმართა გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში ვეიჰენშტეფანის ტრიესდორფში (გერმანია)
- 2024 წლის 10 ივნისიდან 14 ივნისის ჩათვლით პროგრამა ,,საოფისე საქმის“ ხელმძღვანელებმა,ზოია ნატრიაშვილმა და გულნზა ბელქანიამ მიიღეს მონაწილეობა ახალი სტანდარტის ,, ადმინისტრაციული სერვისები“ განხილვაში.
- 2024 წლის 19-20 ივნისს ,პროფესიული უნარების სააგენტოს ინიციატივით სოფლის მეურნეობის მასწავლებელთა დარგობრივი ქსელის სამუშაო შეხვედრაზე იმყოფებოდნენ შორენა არჩაია,მარინე ჭანტურია და მანანა ლორია.
- 2024 წლის 16,17,18 სექტემბერს სოფლის მეურნეობის დარგობრივი ქსელის მასწავლებლების სამუშაო შეხვედრაზე ,,აგრარული ცოდნისა და ინოვაციის სისტემა და მისი მნიშვნელობა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის“. იმყოფებოდნენ :ლევანი არზიანი,გივი ჩემია და მარინე ჭანტურია.
- 2024 წლის 15,16,17,18 ნოემბერს სატრენინგო კურსზე,,მწვანე და ციფრული კომპეტენციები პროფესიულ განათლებაში“ მონაწილეობას ღებულობდნენ ხარისხის

უზრულველყოფის სპეციალისტი მაგდა ბეჭვაია და პროფესიული განათლების მასწავლებელი მარინე ჭანტურია.

- 2024 წლის 21 ნოემბერს თიმსის პლატფორმაზე ჩატარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაძლიერების ტრენინგები ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით,სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ: მანანაჭანტურია (პროფესიული განათლების სენაკის ცენტრის უფროსი), თეა გოგინავა (სასწავლო პროცესისა და საწარმოო პრაქტიკის მართვის მთავარის პეციალისტი), მაგდა ბეჭვაია (ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი).
- 2024 წლის 5-6 დეკემბერს სოფლის მეურნეობის დარგობრივი ქსელის მასწავლებლების სამუშაო შეხვედრაზე,თემაზე ,,ინოვაციები აგროსექტორში“ იმყოფებოდნენ :შორენა არჩაია,ლევანი არზიანი და დავით შუბლაძე.

2. შიდა აქტივობების ფარგლებში:

უნივერსიტეტის ბაზაზე სულ გადამზადებულ იქნა 42 პერსონალი, მათ შორის 11 ადმინისტრაცია, ხოლო 31 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ყველა მათგანზე გაიცა შესაბამისი სერტიფიკატი. კერძოდ:

2024 წლის 3-4 თებერვალს უნივერსიტეტის ბაზაზე ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი ,,მავნებლების ინტეგრირებულ მართვაში/In Integrated Pest management(IPM)” , რომლითაც გადამზადდა უნივერსიტეტის ხუთი პერსონალი (დემეტრე ლიპარტია, მარიკა კოდუა, მაგდა ბეჭვაია, მარინე ჭანტურია, ლევანი არზიანი) .

2024 წლის 5 ოქტომბერს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ზუგდიდის ბაზაზე განხორციელდა ტრენინგი ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობის გაძლიერება“, სადაც მონაწილეობა მიიღო 31-მა პირმა.

2024 წლის 21 ნოემბერს ჩატარდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგი, თემაზე საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით, სადაც გადამზადდა და კვალიფიკაცია აიმაღლა 11- მა ადმინისტრაციულმა პერსონალმა.

ლიეტუვის ქალა კაუნასის ტექნოლოგიური ცენტრიდან მოწვეულმა დარგის სპეციალისტებმა 5 დღიანი ტრენინგები ჩაატარეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის თემაზე „სასაწყობო ლოგისტიკის ოპერაციების დაგეგმვა და ოპერირება“ , რომელშიც მონაწილეობა მიიღო სულ 25 მა პირმა (დასტურდება სერტიფიკატებით).

ამავდროულად პარალელურად დისტანციურად მუდმივად ტარდებოდა სამუშაო შეხვედრები დარგობრივ ქსელებში გაწევრიანებულ მასწავლებლებთან , ზოგადი ინტეგრირებული და სხვა მოდულების ფარგლებში (მეწარმეობა), რომელიც მხარდაჭერილ;ია უნარების სააგენტოს მიერ და აქვს გრძელვადიანი , მუდმივი განვითარებისკენ მიმართული მიზანი.

საბოლოო ჯამში:

1. კვალიფიკაცია ტრენინგებით აიმაღლა 84 მა პირმა, მათ შორის 47 ადმინისტრაციული პერსონალი, 37 მასწავლებელი. (დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატებით).
2. განხორციელდა სულ 1 საერთაშორისო ვიზიტი გერმანიაში და მასში მონაწილეობა მიიღო ერთმა პროფესიულმა მასწავლებელმა (დასტურდება პერსონალთან დადებული ხელშეკრულებით, მივლინების ბრძანებით, ფოტო მტკიცებულებებით);
3. განხორციელდა სულ 1 საერთაშორისო ტრენინგი, რომელიც ჩატარდა სომხეთში. გადამზადდა ზსუ-ს სამი პროფესიული განათლების მიმართულებით მომუშავე პერსონალი (დასტურდება მივლინების ბრძანებით, ფოტო მტკიცებულებებით);
4. განხორციელდა სულ 3 შიდა სასწავლო ტური . მასში მონაწილეობა მიიღო სულ 5 მა მასწავლებელმა (დასტურდება მივლინების ბრძანებით, ფოტო მტკიცებულებებით);
5. გახორციელდა სულ 8 სამუშაო შეხვედრა, მასში მონაწილეობა მიიღო სულ 6 მა პერსონალმა, მათ შორის 1 იყო პროფესიული განათლების მასწავლებელი. (დასტურდება მივლინების ბრძანებით, ფოტო მტკიცებულებებით);
6. ჩატარდა ერთი გამოფენა, პრეზენტაცია საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში, სადაც მონაწილეობა მიიღო ზსუ-ს ხუთმა თანამშრომელმა, მათ შორის ორი იყო პროფესიული განათლების მასწავლებელი; (დასტურდება მივლინების ბრძანებით, ფოტო მტკიცებულებებით);



5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1. კომპონენტი- მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.2. კომპონენტი- საინფორმაციო რესურსები

5.3. კომპონენტი- ფინანსური რესურსები

მიმდინარე წელს პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება/გადამზადების პროგრამების განახორციელებლა განხორციელდა შესყიდვები კანონმდებლობის დაცვით. შესყიდულ იქნა პირის ღრუს ჰიგიენისტის, სკოლამდელი აღზრდის, აგრარული მიმართულების პროგრამების, საოფისეს მიმართულებით, შედუღების, ელექტროობის მიმართულებით. განახლდა კომპიუტერული აღჭურვილობა, რომელიც გასული წლის გეგმის შესაბამისად მოწოდებულ იქნა კონსოლიდირებული ტენდერის გზით. ახალი სასწავლო კორპუსის მოსაწყობად შეძენილ იქნა ავეჯი, ინვენტარი. განხორციელდა სარეაბილიტაციო სამუშაოები როგორც ძირითად, ასევე ახალ კორპუსში. უნივერსიტეტს აქვს ვებ გვერდი, სადაც ვირტუალური სივრცე გამოყოფილია პროფესიული განათლების მიმართულებისთვის. ამ განყოფილებაში იტვირთება ყველა სიახლე, განახლებული კატალოგი, განახლებული შიდა რეგულაციები, ფოტოები, ახალი ამბები, განცხადებები და ა.შ. უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული ყველა ღონისძიება და აქტივობა განთავსებული იყო ვებ გვერდზე, ასევე მუდმივად შუქდება სოციალური ქსელით fecebook -ით, იყო საჯარო და ხელმისწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის. სტუდენტების მოზიდვის მიზნით, სოციალური ქსელით აქტიურად მიმდინარეობდა სარეკლამო

კომპანია უნივერსიტეტის ცნობადობის კიდევ უფრო მეტად ასამაღლებლად. ინტერაქტიულ რეჟიმში ხდებოდა დაინტერესებული პირებისათვის მათთვის საინტერესო კითხვებზე მყისიერი რეაგირება.

უნივერსიტეტს პროგრამის დანერგვისას შემუშავებული აქვს პროგრამული საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც რეალური სურათის შემდეგ ზუსტდება . შიდა რეგულაციით განისაზღვრა პროფესიული განათლების განხორციელების ერთიანი ყულაბა, რომელიც წარმოადგენს მოდულების მიხედვით განსაზღვრულ საერთო ვაუჩერულ დაფინანსებას, ვაუჩერული დაფინანსება მოიცავს აგრეთვე ადმინისტრაციულ და პროფესიული განათლების განხორციელებისთვის სხვა აუცილებელ ხარჯებს. უნივერსიტეტი ყოველ კვარტალში გადახედავს, აზუსტებს ბიუჯეტს და საჭიროების შემთხვევაში (სტუდენტების დიდი ნაკადის გადინება) ახდენს ხარჯების დაზოგვას ან წარმოქმნილ ეკონომიას მიმართავს პროფესიული განათლების მიზნებისთვის.